საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/10757
13/11/2023

10757-09-2-202311131705

ააიპ „სათემო ორგანიზაცია ნუკრიანი"-ს
დირექტორს მაია ბიძინაშვილს

ქალბატონო მაია,

სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 2023 წლის 23 ოქტომბრის N35416 წერილის საფუძველზე, კახეთის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ 30 ოქტომბერს, განხორციელდა არაგეგმური სახელმწიფო კონტროლი შემდეგ ბიზნესოპერატორებთან: ი.მ. თეიმურაზ ჩერქეზიანი" ს/კ 40001004309 სიღნაღი, ლოლაძის N6, ი.მ. „თინათინ მაზიაშვილი" ს/კ 40001016746, სიღნაღის რაიონი სოფელი ნუკრიანი, შპს „თითამი" ს/კ 440398124 , სიღნაღი, სოფ. ილიაწმინდა.

შპს „თითამი"-ს კუთვნილ მარკეტში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას დარღვევები არ გამოვლენილა, მიკვლევადობით დადგინდა, რომ რეალიზაციაში არსებული ყველი წარმოებულია ი/მ „ცოლაკ გრიგორიანი"- ს მიერ მის: ნინოწმინდა სოფ. განძა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ 9 ნოემბერს სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა ი/მ „ცოლაკ გრიგორიან"- თან, ბიზნესოპერატორის განმარტებით და მიკვლევადობის დოკუმენტაციიდან გამომდინარე ი.მ. „ცოლაკ გრიგორიანი" ბოლო ერთი წლის განმავლობაში აწარმოებს მხოლოდ ქარხნული წარმოების ყველს.

ი.მ. „თინათინ მაზიაშვილ"-თან სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას დადგინდა, რომ ლაბორატორიული კვლევის შედეგის წარდგენის შემდეგ ყველი აღარ მიუღია და რეალიზაციაში არ ჰქონდა, მიკვლევადობით დადგინდა, რომ ყველის მიმწოდებელია: ფ/პ ავთანდილ ჯანიაშვილი პ/ნ54[illegible]3, მის: სიღნაღი, ზემო ბოდბე. კახეთის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ ავთანდილ ჯანიაშვილთან განხორციელდა სახელმწიფო კონტროლი და დადგინდა, რომ ფ/პ საქმიანობას ეწეოდა ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, რის გამოც დაჯარიმდა "სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი"-ს 65-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და შეუჩერდა საქმიანობა რეგისტრაციამდე.

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქს/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

ი.მ. „თეიმურაზ ჩერქეზიანი" საქმიანობას ეწეოდა ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, აგრეთვე დარღვეული ჰქონდა მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესი და მიკვლევადობა, რის გამოც დაჯარიმდა "სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის , ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი"-ს 65-ე მუხლის პირველი ნაწილის, 66-ე მუხლის მე-6 ნაწილის და 73 მუხლების შესაბამისად და შეუჩერდა საქმიანობა რეგისტრაციამდე, მიკვლევადობით დადგინდა, რომ ბიზნესოპერატორი ყველს ყიდულობს ე.წ. კაბლის ბაზარზე, კახეთის რეგიონულ სამმართველოს დამატებით დაევალა კაბლის ბაზარზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება.

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი